დამტკიცებულია 07/07/2024

შპს „მაი პალნის “დირექტორი ლევან ჭიჭინაძე

ინსტრუქცია ავტომობილით გასაწევი მომსახურების შესახებ

პორტალ „მაი პლანზე“ რეგისტრირებული მძოლებისთვის

აღნიშნული ინსტრუქცია განსაზღვრავს მძღოლისა და მესამე პირების ურთირთობის საკითხებს

ტურის დააგეგმვა :

1. სამოგზაურო მარშუტი იგეგემება მოგზაურის მიერ :
   ა) მოგზაური ირჩევს სამოგზაურო მიმართულებას ;
   ბ) მოგზაური ირჩევს მოგზაურობის დაწყების თარიღს და მოგზაურობის დაწყების დროს;
   გ) მოგზაურობის დაწყების დროა 08.00 დან - 11.00 საათამდე. თარიღის არჩევა ხდება მინიმუმ 24.00 საათით ადრე;
   დ) მოგზაური ირჩევს მოგზაურთა რაოდენობას;
   ე) მოგზაურის მიერ არჩეული მოგზაურთა რიცხოვნების მიხედვით განისაზღვრება მანქანის სახეობა და კატეგორია მასში მგზავრთა კომფორტულად განთავსების მიზნით : სედანი, მინივენი, ჯიპი;
   ვ) 1 სამუშაო დღის განმავლობაში ტურის მაქსიმალური დროის ხანგრძლივობა არ აღემატება 10 სამუშაო საათს;
   ზ) ტური შესაძლებელია იყოს ერთდღიანი. ასევ მრავლადღიანი, რომელიც იგეგემება მოგზაურის მიერ, მისი შეხედულების შესაბამისად და ტურის მიმდინარეობა შეიძლება გულისხმობდეს ერთი რეგიონიდან სხვა რეგიონში მოგზაურობას;

ტურის კონსტრუქტორის მუშაობის პრინციპი :

2. ტური ირჩევა A პუნქტიდან B პუნქტის მიმართულებით, სადაც A და B პუნქტები ლოკაციებს შორის მანძილია;
3. აღნიშნული A და B პუნქტებს შორის შესაძლებელია დაჯავშნილი იყოს ამ მარშუტზე არსებული სხვადასხვა ლოკაციები, რომლებიც ძირითადი მარშუტიდან საჭიროებდეს გადახვევას და იმ ლოკაციებზე მოგზაურის მიყვანას და დალოდებას;
4. ლოკაციების სახეობებია - ისტორიული მემკვიდრეობა (სამლოცველოები, ტაძრები, მონასტრები, ეკლესიები, გალავნები, ციხეკოშკები და სხვა მსაგვსი), მუზეუმები, კაფეები, რესტორნები, მარნები, მცირე საწარმოები. მეწარმეები, რომლებიც სხვადასხვა კულტურისა და ხელოვნების ნაკეთობებს რეწენ. მღვიმეები, ბუნებრივი ლანდშაფტები, კანიონები, დაცული ტერიტორიები და სხვა;
5. ლოკაციებზე მისვლის და დალოდების დრო მითითებულია ლოკაციის არჩევისას და ფიქსირებულია სხვადასხვა ლოკაციისთვის, სანახაობის ხანგრძლივობის შესაბამისად. მოგზაურის მიერ ტურის ყიდვისას დაფიქსირებული თანხა არ იცვლება და შეესაბამება კონკრეტულ ლოკაციასთან მგზავრის მიყვანის და მოცდის პერიოდს;

6. ერთი ლოკაციიდან მეორე ლოკაციაზე მისვლის ტრაექტორია და თანმიმდევრობა ლაგდება საწყისი ლოკაციიდან შემდეგი უახლოესი ლოკაციის მიმართულებით;
7. მძღოლს აქვს შესაძლებლობა მოგზაურთან კონსულტაციის შედეგად მოახდინოს ოპტიმალური მარშუტის არჩევა, თუ პირობითად ლოკაციიდან ლოკაციაზე მისვლის დრო და გადაადგილება გაცილებით კომფორტულია;
8. მძღოლს არ აქვს უფლება გააუქმოს ლოკაციაზე გამგზავრება, თუ დროის მიხედვით ტურის გაგრძელება შესაძლებელია;
9. ტურის ცვლილება დასაშვებია მოგზაურთან შეთანხმებით, თუ ტურისტულ ლოკაციაზე მისვლა შეუძლებელია, ან ტურისტული ლოკაციაზე შესვლის სამუშაო საათები დასრულებულია. ასევე მეტეო პირობები არ ქმნის ტურისტული ლოკაციის დავთავლიერების შესაძლებლობას. მათ შორის თუ ლოკაციაზე უსაფრთხოდ გადაადგილება ვერ ხერხდება დაღამების გამო;

10. თუ შემენილი ტურის დროს ვერ ხერხდება მოგზაურის დანიშნულბის ადგილზე მიყვანა, რაც გამოწვეული არის მოგზაურის მიერ დროის მისთვის სასარგებლოდ გამოყენების შედეგად, აღნიშნული მოქმედება არ გამოიწვევს თანხის ცვლილებას, თუ მოგზაური მის მიერ შემენილი ტურის ხანგრძლივობას საკუთარი სურვილის შესაბამისად იყენებს. ასეთი მოქმედება დასაშვებია მოგზაურის მიერ, თუ ის სხვა ლოკაციაზე გაადადგილების სანაცვლოდ აგრძელებს მისთვის სასურველ ლოკაციაზე ყოფნას;

11. მძღოლს ეგზავნება დეტალური ინფორმაცია ტურის დაწყების, მოგზაურის ზუსტი მდებარეობის შესახებ, მოგზაურის საკონტაქტო ტელეფონი და კონტაქტ პერსონის შესახებ;

12. მოცდის და ლოდინის დროის გადამეტების შედეგად დამდგარი ინციდენტების თავიდან არიდების მიზნით მიზანშეწონილია კონტაქტის დამყარება წინასწარ მოგზაურთან და მისი მისამართზე მისვლის და ლოდინის დროის შესამცირებლად აღნიშნული კომუნიკაციის დადგომა;

13. თუ მძღოლის მიერ დადასტურებული ტურის შესრულება ვერ ხორცილედება დაუძლეველი მიზეზის შედეგად, აუცილებელია უმოკლეს დროში აცნობოს „მაი პლენის“ ოფისს და იზრუნოს სხვა მძღოლისთვის ტურის გადაცემა, რათა არ დაეკისროს ფინანსური რისკები;

14. თუ ტურის მიმდინარეობისას მძღოლის მიზეზით, ან მანქანის გაუმართაობის გამო ვერ ხდება აღნიშნული ტურის დასრულება და მიმდინარე ლოკაციებზე მოგზაურის გადაყვანა, მძღოლმა უნდა იზრუნვოს მეწყვილის, ან საერთო საკომუნიკაციო ჩატში პრობლემის აღწერა და აცნობოს „მაი პლანის“ ოფისს აღნიშნულის თაობაზე, რომ მოხდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება და ტურის შეწყვეტა, რის შედეგადაც დამდგარი ფინანსური ზიანი განისაზღვრება მოგზაურის სასარგებლოდ;

15. მოგზაურთან კონფილტის წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია „მაი პლანის“ ოფისთან დაკავშირება, თუ კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი არის მოგზაურის დაუსაბუთებელი პრეტენზიები და მისი მოქმედება სცდება ნორმალური კომუნიკაციის ფარგლებს, სავალდებულოა საპატრულო პოლიციის გამოძახება;

მოგზაურის უფლებები და ვალდებულება :

1. მოგზაურის მიერ შეძენილი ტურის საფასური გადახდილია წინასწარ;
2. მოგზაურს გააჩნია ტურის მარშუტის და ტურში შემავალი ლოკაციების ჩამონთვალი და მათი მიმართულებები. ლოკაციებზე მისვლის სავარაუდო დრო და ლოკაციაზე დაყოვნების ხანგრძლივობა;
3. მოგზაური დათანხმერბულია ტურის მიმდინარეობის და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის გზებს;
4. მოგზაურს შეუძლია შეწყვიტოს დროზე ადრე მისი ტური მისთვის სასურველი მიზნით;
5. მოგზაურს არ აქვს უფლება მისი სურვილით ტურის შეწყვეტის გამო მოითხოვოს ტურის სრული საფასური;
6. მოგზაურს აქვს უფლება მის მიერ ნაყიდი ტურის ფარგლებში ჩაანაცვლოს ან შეცვალოს ლოკაციებზე დაყოვნების, ან მოცდის დრო მხოლოდ ტურით განსაზვრული დროის ფარგლებში;
7. მოგზაურს აქვს უფლება გააგრძელოს ლოკაციაზე ყოფნა დამატებითი დროის საფასურის გადახდის სანაცვლოდ ან პირობითად, თუ ვახშამზე ყოფნის დრო იყო განსაზღვრული 1 საათის განმავლობაში და შემდეგ ლოკაციაზე მისვლის დრო და იქ ყოფნის ხანგრძლივობის სანაცვლოდ გადწყვეტს გააგრძელოს არსებულ ლოკიციაზე ყოფნა, მოხდება არსებული ლოკაციით შემდეგ ლოკაციაზე გამგზავრება. თუ მოგზაური მოითხოვს დამატებითი დროის და ლოკაციის დამატებას , მისი ღირებულება განისაზღვრება 1 საათი 20 ლარი დამატებული გასავლელი მანძილის ნამრავლი 0,9 ლარზე, ჯიპებისათვის და მინივენებისთვის 1,4 ლარზე;

ზოგადი დებულებები :

1. არსებული ინსტრუქცია არის სავალდებულო კომპანიისა და მძღოლების მოქმედებისათვის, რათა გამოირიცხოს მატერიალური ზიანების დადგომა მგზავრების და მოგზაურების სასარგებლოდ;
2. აღნიშნული ინსტრუქციის დამატებითი მოქმედების დაზუსტება და დამატება დასაშვებია ისეთი მოქმედების აღსაწერად, რომლებიც მინიმუმადე დაიყვანს ზიანების დადგომას და კომპენსაციების გაცემას მესამე პირების სასრგებლოდ;
3. პრაქტიკული და ურთიერთსასარგებლო კომუნიკაციის მიზნით შეიქმნება ერთი საერთო ჩატი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოახდენს ოპერატიულ კომუნიკაციას კოლეგებთან და „მაი პლენის“ ოფისთან;
4. აღნიშნული ინსტრუქციით არსებული საკითხების დასაზუსტებლად მიიღება შეკითხვები და მოსაზრებები საქმიანობის გაუჯობესების მიზნით.
5. ცვლილების შეტანის შემთხვევაში გეცნობებათ დამატებით, როგორც სმს გზავნილით, ასევე მაილის მეშვეობით;
6. ტურის კონსტრუქტორში შეყვანილი ახალი ფასები და ლოკაციების სახეობების ცვლილების შემთხვევაში გეცნობებათ დამატებით;

ფასის წარმოქმნის მექანიზმი :

1. ფასის წარმოქმნისას გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები ბაზარზე გავრცელებული ფასის მიმართ კონკურენციის შენარჩუნების მიზნით;
2. ფასის წარმოქმნისას ვსარგებლობთ საწვავის საშუალო შეწონილი ფასის ღირებულებით 1 ლიტრი - 3 ლარი;
3. 100 კილომეტრზე დახარჯული საწვავის რაოდენეობა სედანის ტიპის ავტომობილისთვის განისაზღვრა 10 ლიტრის ოდენობით;
4. 100 კილომეტრზე დახარჯული საწვავის რაოდენეობა ჯიპის და მინივენის ტიპის ავტომობილისთვის განისაზღვრა 14 ლიტრის ოდენობით;
5. ლოკაციაზე გადაადგილების დროის დანახარჯი განისაზღვრა 1 საათი 20 ლარი, მათ შორის დალოდების ხანგრძლივობის დროსაც;
6. ერთი ან მეტი დღით მარშრუტის განხორციელების შემთხვევაში,დღიური თანხა განისაზღვრება 80 ლარი ოდენობით;
7. მარშუტების ტრაექტორიები აღებულია გუგლ მეპის და სანავიგაციო სისტემებში არსებულ ბაზებზე დაყრდნობით და დროში მანძილის დაფარვის ხანგრძლივობა შეესაბამება საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ნორმებს;

ატვირტულია „მაი პლანის“ პორტალზე. გამოიყენება მხოლოდ „მაი პლანის“ საქმინობის მიზნებისთვის;
მხარეები თანხმდებიან ამ ინსტრუქციის გამოყენებაზე მათი საქმიანობის სფეროს მიხედვით მესამე პირების მიმართ;